**ს.ს. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია**
**JSC GEORGIAN OIL & GAS CORPORATION**

მ: 0190, თბილისი, კახეთის გზატკ. 21 ტ: (+995 32) 2 244 040 ფ: (+995 32) 2 244 041 ე: public@gogc.ge www.gogc.ge
A: 0190, Tbilisi, Georgia 21, Kakheti Highway T: (+995 32) 2 244 040 F: (+995 32) 2 244 041 M: public@gogc.ge www.gogc.ge
ს/კ: 206237491 ID 206237491

№ 271222/15-04

27 12 2022 წ

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" გეგმავს „ჩრდილოეთ კავკასია - ამიერკავკასიის" 1200მმ-იანი მაგისტრალური გაზსადენის 196-197 კმ-ზე მდინარე არაგვზე ნაპირსამაგრის მოწყობას.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 9.13 პუნქტი, კერძოდ, ნაპირდაცვით და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ „ჩრდილოეთ კავკასია - ამიერკავკასიის" 1200მმ-იანი მაგისტრალური გაზსადენის 196-197 კმ-ზე მდინარე არაგვზე ნაპირსამაგრის მოწყობის პროექტის სკრინინგის განცხადებას თანდართული განახლებული ინფორმაციით (დანართი №3) და გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და წარმოგვიდგინოთ თქვენი გადაწყვეტილება, გზშ-ს ჩატარების საჭიროების თაობაზე.

**დანართი №1** - „ჩრდილოეთ კავკასია - ამიერკავკასიის" 1200მმ-იანი მაგისტრალური გაზსადენის 196-197 კმ-ზე მდინარე არაგვზე ნაპირსამაგრის მოწყობის პროექტის სკრინინგის ანგარიში;
**დანართი №2** – საპროექტო ტერიტორიის shp და kmz ფაილები;

**დანართი №3** - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების წერილი.

პატივისცემით,

**შალვა კიკნაველიძე**

დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

გარემოს ეროვნული სააგენტო
28.12.2022
№ 7853

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/20904
27/12/2022

20904-2-03-2-202212271423

ს.ს. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში
ბატონ შალვა კიკნაველიძეს

ბატონო შალვა,

თქვენი მიმდინარე წლის 23 დეკემბრის #LE231222 წერილის პასუხად, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაღვარევის მიმდებარედ, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე ეროზიული პროცესის შედეგად „ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასია"-ს დნ-1200 მმ მაგისტრალური გაზსადენის დაახლოებით 200 მ მონაკვეთის დაცვის მიზნით ნაპირდამცავი სამუშაოების განხორციელების საკითხს, გაცნობებთ;

პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები არ გამოიწვევს მდ. არაგვის ჭალა-კალაპოტში უარყოფითი მორფოდინამიკური პროცესების განვითარებას. აქედან გამომდინარე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს საამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge